შეხვედრის აღწერა: კითხვა-პასუხის სესია

თარიღი/დრო: 19.10.2021

მონაწილეები: GCSD - გოგიტა ღვედაშვილი, ქეთევან იმერლიშვილი, საგრანტო კონკურსით დაინტერესებული პირები

განხილული საკითხები: საგრანტო კონკურსთან დაკავშირებული კითხვები (კითხვა (Q) - პასუხი (A)):

Q: არის თუ არა შესაძლებელი კოალიციური პროექტების შემოტანა?

A: დიახ, კოალიციური პროექტების შემოტანა შესაძლებელია.

Q: COVID-19 ვირუსით გამოწვეული გარემოებები უნდა იყოს თუ არა ასახული პროექტის რისკებში?

A: ჩვენი რეკომენდაციაა, რომ რისკების შეფასების დროს, აღნიშნული საკითხი იყოს მაქსიმალურად გათვალისწინებული.

Q: თუ შეიძლება სხვა ქვეყნიდან სპეციალისტების/ლექტორების პროექტში ჩართვა?

A: პროექტში უცხო ქვეყნიდან მოწვეული ექსპერტების/ლექტორების ჩართვა შესაძლებელია.

Q: რა სახით უნდა იყოს წარდგენილი პარტნიორობის დადასტურება? (მემორანდუმი, თანხმობის წერილი, სხვა).

A: ამ შემთხვევაში, თანხმობის წერილი ან პარტნიორობის შესახებ წერილი დამაკმაყოფილებელია.

Q: რა არის პროექტის განხორციელების რეკომენდირებული ვადა?

A: პროექტის ხანგრძლივობა შეიძლება იყოს 6-დან 12 თვემდე.

Q: გრანტის ფარგლებში თუ არის შესაძლებელი სოციალური სერვისების მოწოდება?

A: სოციალური სერვისების მიწოდება არ წარმოადგენს პროექტის მიზანს, თუმცა, შესაძლებელია, პროექტში გათვალისწინებული იყოს ამ სერვისების მიწოდების მხარდაჭერის გაუმჯობესება, საჯარო სექტორთან მუშაობა და ადვოკატირება.

Q: როგორ ფასდება საგრანტო კონკურსში წარმოდგენილი პროექტები?

A: პროექტს ჰყავს მმართველი საბჭო, რომელიც შედგება სხვადასხვა მოწვეული ექსპერტისგან. შეფასების კომისიაში წარმოდგენილნი არიან ნორვეგიის საელჩოს წარმომადგენლები (პროექტი ხორციელდება ნორვეგიის საელჩოს დაფინანსებით), ჩვენი გუნდის წარმომადგენლები და დამოუკიდებელი ექსპერტები. პროექტი ფასდება კონფიდენციალურად სხვადასხვა მხარის მიერ, შემდგომ შედეგები ჯამდება და გამოდის საშუალო შეფასებული ქულა, რომლის მიხედვითაც იქმნება პროექტის რეიტინგი. შესაძლებელია, ჩვენ გვქონდეს დამატებითი კითხვები და დაგვჭირდეს დამატებითი კონსულტაციები საპროექტო განაცხადთან დაკავშირებით, ამიტომ მუდმივად ხდება უკუკავშირი, გამარჯვებული პროექტის გამოვლენამდე.

Q: არის თუ არა პარტნიორი რეგიონული ორგანიზაციების აყვანა სავალდებულო იმ შემთხვევაში, თუ პროექტის განხორციელება რეგიონებში გვსურს?

A: პარტნიორის აყვანა არ არის სავალდებულო.

Q: არის თუ არა გათვალისწინებული დღგ ბიუჯეტის გაწერისას?

A: დიახ, დღგ უნდა იყოს გათვალისწინებული, ვინაიდან გრანტი არ არის გათავისუფლებული დღგ-სგან.

Q: განაცხადში ორგანიზაციის რა კონკრეტული რესურსების აღწერა არის საჭირო?

A: განაცხადში ხაზი უნდა გაუსვათ ორგანიზაციის ადამიანურ და ფინანსურ რესურსებს, რაც საჭირო იქნება პროექტის ეფექტიანად განხორციელებისთვის. სხვა რესურსების აღწერა საჭირო არ არის.

Q: ექცევა თუ არა ყურადღება ორგანიზაციის წინა გამოცდილებას? განაცხადში ბოლო 3 წლის განმავლობაში განხორციელებული პროექტების შესახებ რა ინფორმაცია უნდა იყოს წარმოდგენილი?

A: როგორც შეფასების კრიტერიუმებშია აღნიშნული, ორგანიზაციის გამოცდილებას ყურადღება მიექცევა. განაცხადში წარმოდგენილი უნდა იყოს ორგანიზაციის მიერ ბოლო 3 წლის განმავლობაში განხორციელებული პროექტების შესახებ ზოგადი ინფორმაცია, განხორციელებული პროექტის დასახელება და ინფორმაცია პროექტის დონორის შესახებ.

Q: განხორციელებულ პროექტებთან დაკავშირებული ბიუჯეტები წარმოდგენილი უნდა იყოს ჯამურად, თუ თითოეული პროექტის მიხედვით, ცალ-ცალკე?

A: განხორციელებული პროექტების ბიუჯეტი წარმოდგენილი უნდა იყოს ცალ-ცალკე, თითოეული პროექტის მიხედვით.

Q: მედია პროდუქტების, ვებ პორტალის შექმნა საგრანტო კონკურსით გათვალისწინებულ საკითხებზე რამდენად მისაღებია?

A: მისაღები და რელევანტურია.

Q: აქვს თუ არა კონკურსში მონაწილეობის უფლება იმ ორგანიზაციას, რომლის ოფიციალური რეგისტრაციიდან 1 წელი არ არის გასული?

A: კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, განაცხადის წარდგენის დროს, ორგანიზაციის ოფიციალური რეგისტრაციიდან მინიმუმ 1 წელი უნდა იყოს გასული.

Q: სად შეიძლება პროგრამის ფარგლებში უკვე განხორციელებული პროექტების შესახებ ინფორმაციის მოძიება?

A: დაფინანსების ფარგლებში უკვე განხორციელდა 3 პროექტი, რომელთა შესახებ ინფორმაციის მოძიება შეგიძლიათ როგორც ჩვენი ორგანიზაციის ოფიციალურ ვებ გვერდზე, ასევე სოციალური მედიის საშუალებით. დამატებითი ინფორმაცია ასევე შეგიძლიათ იხილოთ მოცემულ ბმულებზე:

- https://rebrand.ly/use1azo
- https://rebrand.ly/pvyvk1w
- https://rebrand.ly/i5qtkgi

Q: შეუძლია თუ არა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას განაცხადის შემოტანა?

A: განაცხადის შემოტანა შეუძლია ყველა აკრედიტირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას.

Q: აუცილებელია თუ არა პროექტის ფარგლებში მოწვეული ექსპერტების რეზიუმეს წარმოდგენა?

A: ამ შემთხვევაში, აუცილებელია წარმოადგინოთ პროექტის გუნდის წევრების რეზიუმეები. პროექტის მოწვეული ექსპერტების რეზიუმეთა წარმოდგენა არ არის აუცილებელი.

Q: ბიუჯეტში ასახული შესყიდვებისთვის არის თუ არა აუცილებელი წინასწარ ინვოისების წარმოდგენა?

A: ინვოისების წარმოდგენა წინასწარ არ არის საჭირო. სასურველია, წინასწარ მოიკვლიოთ ფასები, სავარაუდო ხარჯები და ამის მიხედვით დაგეგმოთ ბიუჯეტი.

Q: აუცილებელია თუ არა ბიუჯეტში თარჯიმნის სერვისში გაწეული ხარჯების ასახვა?

A: შეგიძლიათ ბიუჯეტში გაითვალისწინოთ ყველა ხარჯი, რომელიც პროექტის ეფექტიანად განხორციელებისთვის იქნება საჭირო. ხარჯები ამ კუთხით შეზღუდული არ არის. ამასთან, ყველა ხარჯი, რაც წარმოდგენილი იქნება ბიუჯეტში, სასურველია იყოს მკაფიოდ დასაბუთებული.

Q: დაფინანსების სხვა წყაროებზე საუბრისას, ითვლება თუ არა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კონკრეტული შენობა ან ნებისმიერი რესურსი რასაც ის დაგვითმობს, თანადაფინანსებად?

A: ჩვენი მხრიდან თანადაფინანსება სავალადებულო არ არის, თუმცა სურვილის შემთხვევაში, შეგიძლიათ მიუთითოთ.

Q: როგორ ნაწილდება გრანტი იმ შემთხვევაში, თუ კოალიციური განაცხადი შემოაქვს ორგანიზაციას და უნივერსიტეტს?

A: კოალიციური საპროექტო წინადადების წარმოდგენის შემთხვევაში, ორგანიზაციებიდან

ერთი, ე.წ წამყვანი ორგანიზაცია მიიღებს დაფინანსებას. ამასთან, ბიუჯეტში სწორად უნდა გამოჩნდეს, რა როლს შეასრულებს მეორე ორგანიზაცია. ეს შეიძლება იყოს ქვე-გრანტი, სერვის-ხელშეკრულება ან თუნდაც აქტივობების გადანაწილება. ანაზღაურების კუთხით, GCSD მუდმივ კომუნიკაციაში იქნება წამყვანი ორგანიზაცია. თუმცა ცხადია, მეორე ორგანიზაციასაც ექნება გარკვეული პასუხისმგებლობები აქტივობების შესრულების კუთხით, რაც გათვალისწინებული იქნება ქვე-გრანტით ან სერვის-ხელშეკრულებით.

Q: შესაძლებელია თუ არა ისეთი პროექტების დაფინანსება, რომელიც გულისხმობს სახელმწიფო უწყებასთან თანამშრომლობას?

A: პროექტის იდეისა და კონტექსტის გათვალისწინებით, ცალკეულ სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობა შეიძლება ზოგ შემთხვევაში აუცილებელიც კი იყოს. ასე რომ, ამ კუთხით შეზღუდვები არ არის.

Q: შეუძლია თუ არა კონკურსში მონაწილეობა შპს-ს პარტნიორის სახით?

A: კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოში რეგისტრირებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, შეზღუდული პასუხისმგებლობის სახოგადოებას (შპს) არ აქვს გრანტის მიღების უფლება. პარტნიორის შემთხვევაშიც, ორგანიზაცია უნდა იყოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

Q: აუცილებელია თუ არა თავიდანვე პროექტის დეტალური ბიუჯეტის წარმოდგენა?

A: დიახ, აუცილებელია, რადგან მმართველი საბჭო განიხილავს როგორც საპროექტო წინადადებას, ასევე დეტალურ ბიუჯეტს, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საპროექტო განაცხადში გაწერილ აქტივობებს.

Q: შესაძლებელია თუ არა საგრანტო პროექტის ფარგლებში მცირე გადაკვეთების არსებობა ამ პროგრამის ფარგლებში თქვენს მიერ სხვადასხვა უწყებებთან თანამშრომლობით განხორციელებულ აქტივობებთან?

A: დიახ შესაძლებელია, თუ ეს ქვე-გრანტის პროექტი გააძლიერებს პროგრამის რომელიმე კომპონენტს და ხელს შეუწყობს მის უფრო ეფექტიან განხორციელებას. ამასთან, თუ იდეა ეხმიანება არსებულ პრობლემებს და ავსებს მათ გადაჭრის გზებს, ეს უპირატესობაც კი იქნება.

Q: წარსადგენი დოკუმენტებიდან ერთ-ერთია ინფორმაცია ორი რეკომენდატორის შესახებ. რეკომენდატორების შესახებ კონკრეტულად რა ინფორმაციის მითითება არის აუცილებელი?

A: ამ შემთხვევაში, რეკომენდატორების საკონტაქტო ინფორმაციის მითითება საკმარისია.

Q: ხელფასებზე ბიუჯეტის პროცენტული რაოდენობა არის განსაზღვრული?

A: სახელფასო ფონდი ბიუჯეტიდან გამომდინარე უნდა იყოს რელევანტური, დაახლოებით 30%-35%, რაც მეტწილად დამოკიდებულია აქტივობების რაოდენობაზე. ასევე გასათვალისწინებელია, რომ თუ პროექტის ფარგლებში მოწვეულია „გარე" წევრი (ექსპერტი ან მკვლევარი), ეს შეიძლება ჩაითვალოს როგორც აქტივობის ხარჯი და ანაზღაურება დაფიქსირდეს ბიუჯეტის მომსახურების მუხლში.

Q: ქვე-გრანტების გაცემა არის თუ არა შესაძლებელი ამ საპროექტო განაცხადით?

A: შესაძლებელია, ამ მხვრივ შეზღუდვები არ არის.

Q: არის თუ არა სავალდებულო კოალიციაში პარტნიორად რეგიონული ორგანიზაციის არსებობა?

A: არა, არ არის სავალდებულო.

Q: რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხერხდა ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხის სრულად ათვისება?

A: ჩვენი პრიორიტეტი არის, რომ მაქსიმალურად მხარი დავუჭიროთ ისეთი სხვა აქტივობების განხორციელებას, რომელიც რელევანტური იქნება პროექტთან მიმართებაში და შესაბამისად, რეკომენდაციას გავუწევთ რომ მაქსიმალურად მოხდეს თანხის ათვისება. თუ პროექტთან რელევანტური აქტივობებითაც ვერ მოხერხდება თანხის სრულად ათვისება, მოგიწევთ თანხის დაბრუნება.

Q: შესაძლებელია თუ არა პროექტის სხვადასხვა აქტივობებში სკოლის მოსწავლეების ჩართვა?

A: დიახ, შესაძლებელია.

Q: შესაძლებელია თუ არა, რომ პროექტის ბენეფიციარები იყვნენ მხოლოდ ახალგაზრდები?

A: დიახ, შესაძლებელია ბენეფიციარები იყვნენ მხოლოდ ახალგაზრდები. თუმცა ნიშანდობლივია, რომ ამ პროგრამის მთავარი მიზანი არის ძალადობრივ ექსტრემიზმთან და რადიკალიზაციასთან გამკლავება. ცხადია, ეს კომპონენტი ჩვენთვის ღირებულია, ასე რომ მნიშვნელოვანია ამ თემის ირგვლივ ფოკუსის შენარჩუნება.

Q: ექსპერტის მომსახურების ხარჯები ბიუჯეტში კონკრეტულად რა ნაწილში უნდა იყოს ასახული?

A: მოწვეული ექსპერტების მომსახურების ხარჯები შეგიძლიათ მიუთითოთ ბიუჯეტის ფორმაში - მეორე მუხლში (მომსახურება). დასაბუთების ველში კი მოკლედ აღწერეთ მათი ტექნიკური საქმიანობები და ანაზღაურება.